იზრუნე გარემოზე
ჯანმრთელი მომავლისთვის

ტყვიისგან თავისუფალი

გარემო

ტყვია ადამიანის ჯანმრთელობისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ტყვიით მოწამვლა განსაკუთრებით საშიშია ბავშვებსა და ორსულებში.

ბავშვები, ზრდასრულებისგან განსხვავებით, მეტად მგრძნობიარენი არიან ტყვიისადმი, რადგან მათი ნერვული სისტემა განვითარების პროცესშია. მათ შესაძლოა შეხება ჰქონდეთ ტყვიით დაბინძურებულ ნივთებთან, ეს შეიძლება იყოს ტყვიის შემცველი საღებავით შეღებილი სათამაშოები ან სახატავი საღებავები, ასევე ტყვიის შემცველი საყოფაცხოვრებო ნივთები: თეფშები, ჭიქები და სხვ.

ტყვიით ორგანიზმის დაბინძურებისას ხდება მისი დაგროვება ძვლებში. ორსულობის პერიოდში, ტყვია გამოთავისუფლდება ძვლებიდან კალციუმთან ერთად, შედეგად ნაყოფს შესაძლოა შეექმნას თავის ტვინის, ძვალ-სახსროვანი სისტემის და თირკმელების განვითარების პრობლემები.

რეკომენდაციები:

- ხშირად დაალაგეთ სახლი სველი წესით, გაწმინდეთ ზედაპირი სველი ტილოთი
- მოაცილეთ ჩამოშლადი საღებავები კედლებიდან და ზედაპირებიდან, რომლიდანაც შეიძლება წარმოიქმნას მტვერი
- ხშირად დაბანეთ ბავშვებს ხელები, გარეცხეთ მათი ბოთლები, საწოვარები და სათამაშოები
- სახლის გარემონტებისას დარწმუნდით, რომ იყენებთ საღებავს, რომელიც არ შეიცავს ტყვიას

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

NCDC
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

HRU
ჯანმრთელობის კვლევის კაბინეტი